



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანდრონიკაშვილი თეიმურაზ გიორგის ძე



თ. ანდრონიკაშვილი

ანდრონიკაშვილი თეიმურაზ გიორგის ძე (23. VII. 1928, თბილისი, - 27. II. 2013 იქვე), ქიმიკოსი. საქართვე. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1988; წ.-კორ. 1979). ქიმ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1978), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1987). დაამთავრა საქართვე. პოლიტექ. ინ-ტი (1953). 1958 - 75 იყო საქართვე. მეცნ. აკად. პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგ. ქიმ. ინ-ტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1975-იდან მის მიერ დაარსებული ქრომატოგრაფიის ლაბორ. გამგე), 1977 - 90 ინ-ტის

დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში (1990-იდან დირექტორი). საქართვე. მეცნ. აკად. ჟურნალ „მაცნეს“ ქიმ. სერიის მთ. რედაქტორი (1989-იდან). ა-მა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ქრომატოგრაფიის განვითარებას, ქრომატოგრაფიაში ცვლილებების გამოყენებას. ა-ის შრომები ძირითადად ეხება აირ-ადსორბციულ და აირ-თხევად ქრომატოგრაფიას. რიგი შრომებისა ეძღვნება კაპილარულ ქრომატოგრაფიაში შემავსებლების, თხევადი კრისტალების გამოყენებას, აირადი ქრომატოგრაფიისათვის ახ. ტიპის მყარი სარჩულების შექმნას, ბუნებრივი ცვლილებების კვლევისა და გამოყენებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახ. (1965), ა. თვალჭრელიძის სახ. (1987) და სსრკ მინისტრთა საბჭოს (1990) პრემიები.

თბზ.: Жидкие кристаллы в капиллярной хроматографии, Тб., 1982; Применение цеолитов в газовой хроматографии, «Журнал Всесоюзного химического общества им. Д. И. Менделеева», 1983, т. 28, # 1; Природные цеолиты, М., 1985 (თანაავტ.: გ. ციციშვილი და სხვ.); ითარგმნა პოლ. ენაზე-1990, ინგლ. ენაზე-1992,

ჩინესტერი, დიდი ბრიტანეთი).
